



## გადაწყვეტილება

შპს „თინეთის“ (ს/ნ 402116474) 2025 წლის 04 ივლისის N01/3980 საჩივრის  
საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

### 1. ფაქტობრივი გარემოებები

#### 1.1. მომჩივნის პოზიცია და საქმის მოკლე შინაარსი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) 2025 წლის 04 ივლისს წარმოდგენილ იქნა შპს „თინეთის“ (ს/ნ: 402116474) (შემდგომში - „მომჩივანი“/შპს „თინეთი“) საჩივარი (რეგ. N01/3980), რომელიც შეეხება მოპასუხეების: შპს „ელ.ბილეთების“ (ს/ნ: 205268869), სს „საქართველოს ბანკის“ (ს/ნ: 204378869), ღია სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ (ს/ნ: 10917019) და ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ (ს/ნ: 201990079) მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-6 (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) და მე-7 (კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება) მუხლების სავარაუდო დარღვევას.

საჩივარში შპს „თინეთი“ მიუთითებს, რომ მომჩივანი და ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“ (შემდგომში - „ფედერაცია“) აქტიურად თანამშრომლობდნენ ჯერ კიდევ 2016 წლიდან. აღნიშნული თანამშრომლობა დაიწყო მას შემდეგ, რაც ფედერაციამ წარსულში გამართული ღონისძიების ბილეთების გაყიდვის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება, შეეწყვიტა თანამშრომლობა მოქმედ პარტნიორთან და არჩევანი გაეკეთებინა უფრო მაღალი ხარისხის მომსახურების მქონე პლატფორმაზე. თანამშრომლობის ფარგლებში, შპს „თინეთის“ კუთვნილ პლატფორმაზე - TKT.ge წელიწადში რამდენჯერმე ხორციელდებოდა ფეხბურთის ბილეთების რეალიზაცია.

საჩივარში, ასევე, აღნიშნულია, რომ ფედერაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, მომჩივანმა მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა როგორც ფინანსური, ისე ადამიანური რესურსების კუთხით.



მომჩივნის განმარტებით, ფედერაციამ მასთან ყოველგვარი განმარტებისა და დასაბუთების გარეშე შეწყვიტა ურთიერთობა. მათ შორის თანამშრომლობის შეწყვეტას წინ უსწრებდა 2025 წლის 2 მაისს ფედერაციაში გამართული შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ფედერაციისა და მომჩივნის წარმომადგენლები. აღნიშნულ შეხვედრაზე ფედერაციამ მომჩივნის წარმომადგენლებს ზეპირად განუმარტა, რომ რადგან სს „საქართველოს ბანკი“ (შპს „ელ. ბილეთებთან“ აფილირებული კომპანია) წარმოადგენს საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების გენერალურ სპონსორს, მათ არ ჰქონდათ სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ დამორჩილებოდნენ სს „საქართველოს ბანკის“ მოთხოვნას ფეხბურთის ბილეთების შპს „ელ. ბილეთების“ პლატფორმაზე რეალიზაციასთან დაკავშირებით.

მომჩივნის განმარტებით, სს „საქართველოს ბანკმა“, როგორც ფედერაციის გენერალურმა სპონსორმა, დაავალდებულა ეს უკანასკნელი - საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაშზე დასასწრები ბილეთების რეალიზაცია მომხდარიყო მხოლოდ სს „საქართველოს ბანკთან“ აფილირებული კომპანიის - შპს „ელ.ბილეთების“ პლატფორმაზე (biletebi.ge). ამასთან, მომჩივანი მიიჩნევს, რომ სს „საქართველოს ბანკი“ და შპს „ელ.ბილეთები“ მოქმედებენ, როგორც ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი.

მომჩივნის მიერ სააგენტოში დამატებით წარმოდგენილ კორესპონდენციებში<sup>1</sup> აღნიშნულია, რომ 2025 წლის 4 აგვისტოს შპს „ელ.ბილეთების“ პლატფორმაზე (biletebi.ge) განხორციელდა საქართველოსა და თურქეთის ეროვნული ნაკრებების მატჩის ბილეთების გაყიდვა, ხოლო 2025 წლის 7 აგვისტოს - საქართველოსა და ბულგარეთის ნაკრებების შეხვედრის ბილეთების გაყიდვა. მომჩივნის განმარტებით, ორივე შემთხვევაში ბილეთების გაყიდვის პროცესს თან ახლდა რიგი სისტემური ხარვეზები, რამაც მომხმარებელთა მხრიდან ნეგატიური უკუკავშირი გამოიწვია.

შპს „თინეთი“ აცხადებს, რომ მოპასუხეების ერთობლივი ქმედებები მიზნად ისახავს ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვას, რაც წარმოადგენს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების დარღვევას.

## 1.2. მოპასუხეების პოზიცია

სააგენტოს 2025 წლის 10 ივლისის წერილებით საჩივარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად გადაეგზავნათ მოპასუხეებს პოზიციების წარმოსადგენად.<sup>2</sup>

### 1.2.1. ფედერაციის პოზიცია

ფედერაციამ 2025 წლის 24 ივლისს სააგენტოში წარმოადგინა წერილობითი პოზიცია (რეგ. N01/4425) განსახილველ საჩივართან დაკავშირებით.

<sup>1</sup> რეგ. N01/4664 (06.08.2025); რეგ. N01/4744 (11.08.2025).

<sup>2</sup> რეგ. N02/3000; რეგ. N02/3001; რეგ. N02/3002; რეგ. N02/3003.

წერილში აღნიშნულია, რომ ფედერაცია არაპირდაპირ სახელმწიფოს მიერ ფინანსდება, ხოლო მისი მუშაობის სპეციფიკა საჯარო მმართველობის სფეროს განეკუთვნება, რის საფუძველზეც მას გააჩნია საჯარო დაწესებულების სტატუსი. შესაბამისად, ფედერაცია მიიჩნევა, რომ იგი არ უნდა განიხილებოდეს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების ფარგლებში მოპასუხე მხარედ.

ფედერაცია არ ეთანხმება მომჩივნის მიერ მითითებულ გარემოებებს. მისი განმარტებით, უსაფუძვლოა მომჩივნის მტკიცება, თითქოს TKT.ge უზრუნველყოფდა უფრო მაღალი ხარისხის მომსახურებას, ვიდრე biletbi.ge, ვინაიდან უკმაყოფილო მომხმარებლების დიდი რაოდენობა ფიქსირდებოდა TKT.ge-სთან თანამშრომლობის პერიოდშიც.

ფედერაციის მითითებით, მომჩივანი უსაფუძვლოდ აპელირებს მის მიერ განხორციელებულ ინვესტიციაზე, ვინაიდან ყველა მატერიალური თუ არამატერიალური დანახარჯი მიზნად ისახავდა მხოლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ხარისხიან შესრულებას.

ფედერაციის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ შპს „ელ. ბილეთები“ წარმოადგენს სს „საქართველოს ბანკის“ შვილობილ კომპანიას და თავად ბანკი ფედერაციის სპონსორია წლიდან, პარტნიორობა biletbi.ge-სთან ფედერაციამ მხოლოდ 2025 წელს გააფორმა. ფედერაციის შეფასებით, ეს ფაქტი მიუთითებს, რომ წლების განმავლობაში პარტნიორის შერჩევას ის არ ეყრდნობოდა სპონსორულ კავშირებს, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს ფედერაციის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

ფედერაციის განმარტებით, biletbi.ge-ს არჩევა განპირობებული იყო მის მიერ შემოთავაზებული უკეთესი კომერციული პირობებით. კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც მომჩივნის მხრიდან მომსახურების საკომისიო განისაზღვრებოდა გაყიდული ბილეთებისა და აბონემენტების ღირებულების , biletbi.ge-სთან თანამშრომლობის შემთხვევაში აღნიშნული ტარიფი შეადგენს .<sup>3</sup> ფედერაციის განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომჩივანი მუდმივად გამოხატავდა ერთგვაროვან და ცალსახა პოზიციას - მომსახურების საფასურის -ზე ნაკლებ მაჩვენებელზე შეთანხმება ფაქტობრივად შეუძლებლად განიხილებოდა.

ფედერაცია აცხადებს, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, ფედერაცია ითხოვს, რომ კანონით დადგენილი მე-6 და მე-7 მუხლების ფარგლებში, იგი ცნობილ იქნას არასათანადო მოპასუხედ.

სააგენტოში დამატებით წარმოდგენილ კორესპონდენციაში ფედერაცია მიუთითებს, რომ ფედერაციისა და მომჩივნის წარმომადგენლებს შორის გამართული

<sup>3</sup> ფედერაციასა და შპს „ელ.ბილეთებს“ შორის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება.

შეხვედრისას, ფედერაციის მხრიდან განხილული იქნა შპს „ელ.ბილეთების“ მომსახურების უფრო შეღავათიანი ტარიფები. მიუხედავად ამისა, შპს „თინეთის“ მხრიდან არ ყოფილა ინიციატივა მომსახურების ღირებულების გადახედვასთან დაკავშირებით. ფედერაციის განმარტებით, აღნიშნულ საკითხზე მხარეებს შორის შედგა დამატებითი კომუნიკაცია, რომლის ფარგლებში განხილული იყო მომსახურების პროცენტული განაკვეთი. ამავე კომუნიკაციის ფარგლებში, მომჩივანმა ცალსახად დააფიქსირა, რომ ფედერაციის მიერ შეთავაზებული მომსახურების ღირებულების ცვლილება მათთვის მიუღებელი იყო. ფედერაციამ აღნიშნული პოზიციის დასადასტურებლად ელფოსტით გამოგზავნილი კომუნიკაციის ამონარიდი მტკიცებულებად წარმოადგინა.

### 1.2.2. შპს „ელ. ბილეთების“ პოზიცია

მოპასუხე შპს „ელ. ბილეთებმა“ განსახილველ საჩივართან დაკავშირებით 2025 წლის 25 ივლისს სააგენტოში წარმოადგინა წერილობითი პოზიცია (რეგ. N01/4440).

შპს „ელ. ბილეთები“ მიუთითებს, რომ კომპანია და მის საკუთრებაში არსებული პლატფორმა - [biletbi.ge](http://biletbi.ge) - 2009 წლიდან ფუნქციონირებს და არის პირველი ქართული ელექტრონული ბილეთების ვაჭრობის პლატფორმა. კომპანიას აქვს 15 წელზე მეტი გამოცდილება, ამ პერიოდში ითანამშრომლა ასობით პარტნიორთან და მოემსახურა მომხმარებელს, რაც ადასტურებს მის სანდოობასა და გამოცდილებას ბაზარზე.

2023 წელს კომპანიამ მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება პლატფორმის ტექნიკური განახლებისა და სრული რებრენდინგის შესახებ. განახლების შედეგად პლატფორმას დაემატა ახალი ფუნქციები, რომელიც პასუხობს როგორც ორგანიზატორების, ასევე, მომხმარებლების საჭიროებებს. შედეგად, პლატფორმა კიდევ უფრო მორგებული და მომხმარებელზე ორიენტირებული გახდა.

კომპანიამ განახლებული პლატფორმა წარუდგინა არსებულ და პოტენციურ დამკვეთებს, მათ შორის ფედერაციას. კერძოდ, გააცნო პლატფორმის უპირატესობები, ახალი ფუნქციონალები, ასევე, მომხმარებელთა მხარდაჭერის სისტემის, ბილეთების ვალიდაციისა და მარკეტინგული მომსახურების პირობები. ფედერაციამ გამოხატა დაინტერესება და მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც

შპს „ელ. ბილეთების“ მითითებით, ხელშეკრულების შესაბამისად, ფედერაცია არ არის შეზღუდული გამოიყენოს სხვა პლატფორმა ბილეთების რეალიზაციისთვის. კომპანიასა და ფედერაციას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას არ აქვს კონკურენციის შემზღუდველი ბუნება და არ ითვალისწინებს ექსკლუზიური მომსახურების დათქმვას.

შპს „ელ. ბილეთები“ აღნიშნავს, რომ ფედერაციას არ გადაუცემია მისთვის მომჩივნის მიერ შედგენილი სტადიონის სქემა. თანამშრომლობის დაწყების შემდეგ, კომპანიამ საკუთარი ადამიანური და ფინანსური რესურსის გამოყენებით, დამოუკიდებლად შეიმუშავა სტადიონების სქემები. შესაბამისად, კომპანია ეყრდნობა მხოლოდ საკუთარ სქემებს და არ იყენებს შპს „თინეთის“ მიერ შემუშავებულს.

მოპასუხე არ იზიარებს მომჩივნის პოზიციას შპს „ელ. ბილეთებისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ ერთიან ეკონომიკურ აგენტად მიჩნევის თაობაზე და აცხადებს, რომ აღნიშნული სუბიექტები დამოუკიდებელი იურიდიული პირები არიან. ამასთან, სს „საქართველოს ბანკსა“ და ფედერაციას შორის სპონსორობის ხელშეკრულება, ისევე როგორც კომპანიასა და ფედერაციას შორის მომსახურების ხელშეკრულება, გაფორმდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე აცხადებს, რომ მისი ქმედებები არ არღვევს კანონის მე-6 და მე-7 მუხლებს, რადგან კომპანია არ ფლობს დომინანტურ მდგომარეობას ბაზარზე, ხოლო ფედერაციასთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება არ შეიცავს ექსკლუზიურ დათქმებს და არ არის შემზღვეველი ხასიათის.

### 1.2.3. სს „საქართველოს ბანკის“ პოზიცია

სს „საქართველოს ბანკმა“ 2025 წლის 28 ივლისს სააგენტოში წარმოადგინა წერილობითი პოზიცია (რეგ. N01/4480) განსახილველ საჩივართან დაკავშირებით.

სს „საქართველოს ბანკის“ პოზიციით, იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად შპს „ელ. ბილეთებთან“ ერთად. ამასთან, ბანკი აღნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ სუბიექტს, რაც გულისხმობს მისი საქმიანობის მკაცრად რეგულირებად ჩარჩოში მოქცევას და ბანკის საქმიანობა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. მისი განმარტებით, საჩივარში მოყვანილი მტკიცება, თითქოს იგი ფედერაციასთან ერთად მიზნად ისახავს კონკურენციის შეზღუდვას და ბაზარზე [biletbi.ge](http://biletbi.ge)-ს გარდა სხვა კონკურენტების განდევნას არ არის მართებული საბანკო საქმიანობის სპეციფიკისა და არსებული ჩარჩო-რეგულაციების გათვალისწინებით.

მოპასუხის პოზიციით, საჩივარში წარმოდგენილი მსჯელობა ბანკის მონაწილეობაზე ფედერაციასა და [biletbi.ge](http://biletbi.ge)-ს შორის სამართლებრივ ურთიერთობაში ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ბანკსა და [biletbi.ge](http://biletbi.ge)-ს შორის არ არსებობს სტრუქტურული კავშირი. კერძოდ, ბანკი წარმოადგენს სს „ბიჯეო ჯგუფის“ შვილობილს, ხოლო [biletbi.ge](http://biletbi.ge) სს „დიჯიტალ არეას“ შვილობილს, რომლის დამფუძნებელია სს „ბიჯი ფაინენშიალი“, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სს „ბიჯეო ჯგუფის“ შვილობილს.

სს „საქართველოს ბანკის“ პოზიციით, მხოლოდ ის გარემოება, რომ ბანკის გენერალური დირექტორი იკავებს აღმასრულებელ ან არააღმასრულებელ თანამდებობებს სს „ბიჯი ფაინენშიალსა“ და სს „ბიჯეო ჯგუფში“, იმთავითვე არ წარმოადგენს გავლენის არსებობის დასადასტურებელ საფუძველს. მოპასუხე აცხადებს, რომ სს „საქართველოს ბანკი“ და შპს „ელ. ბილეთები“ არ წარმოადგენენ ერთმანეთთან სტრუქტურულად/სამართლებრივად დაკავშირებულ პირებს, ბანკს არ აქვს შპს „ელ. ბილეთების“ მიერ მიღებული/მისაღები გადაწყვეტილებების კონტროლის, საოპერაციო გეგმებზე გავლენის მოხდენის, მმართველების მოხსნა-დანაშინის არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი შესაძლებლობა.

სს „საქართველოს ბანკის“ მითითებით, საჩივარი ეფუძნება არგუმენტს, რომ თითქოს ბანკსა და ფედერაციას შორის გაფორმებული გენერალური სპონსორობის ხელშეკრულება გახდა წინაპირობა [biletbi.ge](http://biletbi.ge)-სა და ფედერაციას შორის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებისა, რაც დაუსაბუთებელი მტკიცებაა. მოპასუხის განმარტებით, გაფორმებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს

ამასთან, სს „საქართველოს ბანკი“ აცხადებს, რომ გენერალური სპონსორობის ხელშეკრულების გაფორმების თარიღის, მისი შინაარსისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ წლებში არაერთი თამაში ჩატარდა (მათ შორის, ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პლეი ოფის ნახევარფინალი და ფინალი, 2023 წლის უეფა-ს ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატი და სხვ.), გაუგებარია საჩივარში განვითარებული მსჯელობა, რომ მხოლოდ და მხოლოდ 2025 წელს გამოიყენა ბანკმა „ზეგავლენა“ ფედერაციაზე [biletbi.ge](http://biletbi.ge)-ისთან მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების მიზნით. სს „საქართველოს ბანკი“, ასევე აცხადებს, რომ ყოველგვარ გონივრულ და ლოგიკურ დასაბუთებას მოკლებულია საჩივარში მითითება იმის შესახებ, რომ ნაკრების ერთ-ერთი ფეხბურთელის სს „თიბისი ბანკის“ ამბასადორად გახდომის საფუძვლით განხორციელდა ფედერაციასა და შპს „თინეთს“ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა მაშინ, როდესაც გენერალური სპონსორობის ხელშეკრულება

საჩივარში განვითარებული მსჯელობა ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ ბანკის რეპუტაციის შელახვას და იგი კავშირში არ არის ფედერაციასა და [biletbi.ge](http://biletbi.ge)-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსის მოქმედ კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხთან.

გარდა ამისა, მოპასუხე აღნიშნავს, რომ სს „საქართველოს ბანკს“, შპს „ელ.ბილეთებს“ და ფედერაციას შორის არ არის გაფორმებული არანაირი ხელშეკრულება, არ არსებობს კონკურენციის შემზღვეველი გადაწყვეტილება და არც შეთანხმებული ქმედება.

სს „საქართველოს ბანკი“ აცხადებს, რომ საჩივარში მოყვანილი არგუმენტაცია მოკლებულია ყოველგვარ ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს და ბანკისთვის რეპუტაციული ზიანი მიყენებას ისახავს მიზნად.

#### 1.2.4. სს „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ პოზიცია

სს „საქართველოს ბანკის ჯგუფმა“ (შემდგომში - „LFG“/“ჰოლდინგი“) 2025 წლის 05 აგვისტოს სააგენტოში წარმოადგინა წერილობითი პოზიცია ( რეგ. N01/4641) განსახილველ საჩივართან დაკავშირებით.

წერილობით პოზიციაში აღნიშნულია, რომ მომჩივანი ცდილობს შპს „ელ.ბილეთებისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ ერთიან ეკონომიკურ აგენტად და სუბიექტად შერაცხვას და ამაში „LFG“-ის როლის ხაზგასმას. აღნიშნულთან დაკავშირებით მოპასუხის პოზიცია შემდეგია: „LFG“ არათუ არ არის საჩივარში განხილული სავარაუდო დარღვევების მონაწილე, არამედ მას საერთოდ არ გააჩნია არანაირი კავშირი იურიდიულად, ფაქტობრივად ან გეოგრაფიულად იმ ქმედებებთან, რომელთა განხილვასაც მომჩივანი საკუთარი საჩივრის ფარგლებში ითხოვს. „LFG“-ის ჩართვა საქმეში ეწინააღმდეგება როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებს და აშკარად არ ჯდება კომპეტენტური სამართლებრივი მსჯელობის ფარგლებში.

მოპასუხის განმარტებით, „LFG“ არის დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული ფინანსური ჰოლდინგი. იგი არ ახორციელებს კომერციულ საქმიანობას საქართველოში, არ არის რეგისტრირებული არც მეწარმედ და არც გადასახადის გადამხდელად საქართველოს ტერიტორიაზე.

ჰოლდინგის მითითებით, მართალია სს „საქართველოს ბანკსა“ და შპს „ელ. ბილეთებს“ საბოლოო ჯამში ერთი და იგივე იურიდიული პირი ფლობს, თუმცა ეს გარემოება თავისთავად არ ნიშნავს, რომ ისინი ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს წარმოადგენენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს სრულიად განსხვავებულ სექტორებსა და რეგულირების წესებთან. გარდა ამისა, „LFG“-სა და შპს „ელ. ბილეთებს“ შორის, მიუხედავად საერთო საბოლოო მფლობელობისა, არსებობს შუალედური კორპორატიული ჯაჭვი (სს „ბიჯეო ჯგუფი“, სს „ბიჯი ფაინენშიალი“, სს „დიჯიტალ არეა“), რომლებიც იურიდიულად და ფუნქციურად განცალკევებულ როლებს ასრულებენ. აღნიშნული სტრუქტურა კიდევ უფრო გამოკვეთილად უსვამს ხაზს კომპანიებს შორის არსებულ დამოუკიდებლობასა და ოპერაციულ გამიჯვნას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოპასუხის განმარტებით, ერთადერთი არგუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც მომჩივანი ცდილობს ჰოლდინგზე პასუხისმგებლობის დაკისრებას, არის ის, რომ ერთი და იგივე ფიზიკური პირი იკავებს დირექტორის/სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიციას ჰოლდინგის ჯგუფში შემავალ სხვადასხვა კომპანიებში. თუმცა, ჰოლდინგის მითითებით, თანამდებობათა მსგავსი თანხვედრა კორპორაციულ სტრუქტურებში გავრცელებული პრაქტიკაა და ამით არსებითი გავლენა ვერ დასტურდება. ამასთანავე, არ არსებობს არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ აღნიშნული პირი მოქმედებდა უშუალოდ ჰოლდინგის სახელით და არა იმ კომპანიის სახელით, რომელშიც იგი უშუალოდ ახორციელებდა აღმასრულებელ თუ არააღმასრულებელ ფუნქციებს. ამასთან, აღნიშნულ პირს არ აკისრია აღმასრულებელი ფუნქცია არც შპს „ელ. ბილეთებში“ და არც სს „დიჯიტალ არეში“ და მისი მონაწილეობა შემოიფარგლება მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობით.

მოპასუხის განმარტებით, ფინანსური ჰოლდინგები არ მონაწილეობენ შვილობილი კომპანიების ყოველდღიურ ოპერაციებში, არ იღებენ კომერციულ გადაწყვეტილებებს ადგილობრივი ბაზრის პირობებზე, და მათი პასუხისმგებლობის განზოგადება უნდა დაეფუძნოს მკაფიო, მტკიცებულებებით გამყარებულ ჩარევას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, „LFG“ აცხადებს, რომ წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში ის არასწორად იქნა მოპასუხედ განსაზღვრული.

### 1.3. საქართველოს სპორტის სამინისტროსგან მიღებული ინფორმაცია

საჩივრის დასაშვებობის შესწავლისას სააგენტოსთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ფედერაციის სამართლებრივი სტატუსისა და საქმიანობის განსაზღვრას. აღნიშნული ინფორმაციის მისაღებად სააგენტომ მიმართა საქართველოს სპორტის სამინისტროს (შემდგომში - „სამინისტრო“).<sup>4</sup>

სააგენტოში წარმოდგენილ კორესპონდენციაში,<sup>5</sup> სამინისტრო განმარტავს, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ეროვნული სპორტული ფედერაციები, მათ შორის ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“, სამართლებრივად დამოუკიდებელია და სახელმწიფო მათი მართვის პროცესში ჩართული არ არის. სახელმწიფო მხოლოდ მხარდაჭერის მექანიზმებით შემოიფარგლება.

რაც შეეხება სახელმწიფო კონტროლს, სამინისტრო ახორციელებს მხოლოდ მის მიერ გაცემული მიზნობრივი დაფინანსების ხარჯვის კანონიერების მონიტორინგს. ამასთან, სპორტის სამინისტროსა და ფედერაციას შორის შესაძლოა გაფორმდეს ხელშეკრულება მხოლოდ მიზნობრივი წლიური დაფინანსების შესახებ, თუმცა, როგორც

<sup>4</sup> რეგ. N02/3300 (24.07.2025).

<sup>5</sup> რეგ. N01/4603 (04.08.2025).

სამინისტრო განმარტავს, ბოლო სამი წლის განმავლობაში ფედერაციას მისგან დაფინანსება არ მიუღია.

#### **1.4. მომჩივნის პოზიცია მოპასუხეების პოზიციებთან დაკავშირებით**

მომჩივნის მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა მოსაზრებები მოპასუხეთა პოზიციებთან დაკავშირებით.<sup>6</sup>

შპს „თინეთი“ არ ეთანხმება მოპასუხეთა პოზიციებში დაფიქსირებულ მსჯელობას და გარემოებებს და აღნიშნავს, რომ ფედერაციასა და შპს „ელ. ბილეთებს“ შორის ურთიერთობა დამყარებულია ექსკლუზიურობაზე, ვინაიდან საქართველოში ბილეთების რეალიზაციის მხოლოდ ორი პლატფორმაა და ფედერაცია ამ ორი პლატფორმიდან ერთ-ერთს (მომჩივანს), მიუხედავად მასთან არსებული კარგი წარსული გამოცდილებისა, განუსაზღვრელი ვადით ეუბნება უარს, ხოლო მეორე პლატფორმას თანხმდება თანამშრომლობაზე. მომჩივნის განცხადებით, 2025 წლის მაისის შემდეგ ჩატარებულ ხუთმატჩზე მას არ მიეცა ბილეთების რეალიზაციის საშუალება, მიუხედავად არაერთი მცდელობისა. აღნიშნული გარემოება, მომჩივნის შეფასებით, მიუთითებს მხარეთა ზეპირ შეთანხმებაზე ექსკლუზიური თანამშრომლობის თაობაზე.

დამატებით, მომჩივანი უთითებს, რომ 2022 წელს შპს „ელ.ბილეთები“ არ შედიოდა საქართველოს ბანკის ჯგუფში. მისი შემენა განხორციელდა 2023 წელს, შესაბამისად, იმ დროს საქართველოს ბანკს ვერ ექნებოდა შპს „ელ.ბილეთების“ მიმართ ინტერესი.

## **2. ნორმატიული რეგულირება**

### **2.1. მატერიალური ნაწილი**

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

---

<sup>6</sup> რეგ. N01/4563 (31.07.2025); რეგ. N01/4605 (04.08.2025).

კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი განმარტავს „დომინანტურ მდგომარეობას“. დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე:

ი.ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ი.ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, კი, აკრძალულია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხოლო ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის, ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლების ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციაზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება,

რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა (შემდგომ – შეთანხმება), კერძოდ:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა;

გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება;

დ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

ე) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელსაც გარიგების საგანთან საგნობრივი და კომერციული კავშირი არ აქვს.

## **2.2. პროცედურული ნაწილი**

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების და ვადების“ (შემდგომში - „პროცედურა“) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს აღნიშნულ ვადაში გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნულ მატერიალური დასაშვებობის შემოწმებისათვის განსაზღვრულ ვადაში სააგენტო

შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო ასევე აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. ამდენად, საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია სააგენტოს გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ. რაც შეეხება საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლებს, ისინი გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლში.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33<sup>2</sup> მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

### **3. სამოტივაციო ნაწილი**

#### **3.1. ზოგადი მიმოხილვა**

სააგენტო უფლებამოსილია, დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა.<sup>7</sup>

აღსანიშნავია, რომ კანონის სავარაუდო დარღვევის შესახებ საჩივრის მიღების შემდგომ სააგენტო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ და მატერიალურ შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. ფორმალური შესაბამისობის დადგენა გულისხმობს იმის შემოწმებას, რამდენად სრულყოფილად არის შევსებული/წარმოდგენილი საჩივარი, ხოლო მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო იკვლევს, არსებობს თუ არა საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე.

სააგენტო გადაწყვეტილებას საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყების ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ იღებს ზემოთ აღნიშნული ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით საჩივრის ყოველმხრივი ანალიზის შედეგად.

შესაბამისად, მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო მოკვლევის დაწყების საფუძვლის შემოწმების მიზნით უფლებამოსილია მომჩივნისგან/მოპასუხისგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საბოლოოდ, ფასდება მომჩივნის/მოპასუხის მიერ წარმოდგენილი

---

<sup>7</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 7 მაისის №04/113 გადაწყვეტილება („გორის ტაქსების საქმე II“), გვ. 10

საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ნებისმიერი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, ასევე, შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად თავმოყრილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე კი სააგენტო ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ექვის სტანდარტს და აღნიშნულის შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ<sup>8</sup>.

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ შეიცავს გონივრული ექვის ცნების ლეგალურ დეფინიციას. დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ექვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკით. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - „TFEU“) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ევროკომისიის ნოტა განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის განხორციელება<sup>9</sup>. ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევისა თუ შესწავლის განხორციელება არ არის გონივრული<sup>10</sup>. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპული კავშირის სამართლით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება<sup>11</sup>.

შპს „თინეთის“ საჩივარში საუბარია კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევებზე. შესაბამისად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყება/არდაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა ორივე მუხლთან მიმართებაში შეფასდეს არსებული პრეტენზიის დასაბუთებულობა და გონივრული ექვის წარმოშობის საკითხი.

<sup>8</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 09 აგვისტოს №04/121 გადაწყვეტილება („სადაზღვევო კომპანია უნისონის საქმე“) გვ. 10

<sup>9</sup> Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. [http://ec.europa.eu/competition/consultations/2010\\_best\\_practices/best\\_practice\\_articles.pdf](http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf)), §11.

<sup>10</sup> იქვე, § 12.

<sup>11</sup> ECJ Case T-24/90, 18.09.1992, § 77.

### 3.2. ფედერაცია, როგორც კანონის მე-6 და მე-7 მუხლების სუბიექტი

უპირველეს ყოვლისა, სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ საკითხზე - წარმოადგენს თუ არა ფედერაცია ეკონომიკურ აგენტს და შესაბამისად, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების შეფასებას დაქვემდებარებულ სუბიექტს.

ფედერაციის წესდების მიხედვით, ფედერაცია წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. ფედერაცია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ფედერაცია არის – ფეხბურთის ხელმძღვანელი ერთადერთი ორგანო (ორგანიზაცია) საქართველოში, რომელიც დამოუკიდებლად და სრულად წარმართავს საფეხბურთო საქმიანობას და რომლის იურისდიქციაც ვრცელდება ქვეყნის (საერთაშორისო სამართლის ნორმით აღიარებულ ფარგლებში) მთელს ტერიტორიაზე. ფედერაცია არის ერთადერთი ხელმძღვანელი ორგანო (ორგანიზაცია), რომელიც წარმოადგენს ქართულ ფეხბურთს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.<sup>12</sup>

„სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია ასრულებს სახელმწიფო დაკვეთას და ხელშეკრულებს საფუძველზე თანამშრომლობს სამინისტროსთან.<sup>13</sup> ფედერაცია, „სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების საბჭოს 2019 წლის 27 სექტემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 22 ოქტომბრის N1303 ბრძანებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებული იქნა სპორტულ ორგანიზაციად.

აღსანიშნავია, რომ ფედერაცია 2025 წელს, ვაჟთა, ქალთა და ფუტსტალის ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების და გუნდების მომსახურე პერსონალის ანაზღაურების მიზნით დაფინანსდა ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის (რომელიც თავის მხრივ დაფუძნებულია სპორტის სამინისტროს მიერ) გადაწყვეტილებით.<sup>14</sup> ქართული ფეხბურთის განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში პრიორიტეტების მიხედვით თანხების განაწილების კრიტერიუმებს/პრინციპებს, შესაბამის ოდენობებს და ბენეფიციარებს ადგენს ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის გამგეობა სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით.<sup>15</sup>

ფედერაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე გამართული ყველა ოფიციალური და ამხანაგური საფეხბურთო მატჩების კონტროლი და

<sup>12</sup> ფედერაციის წესდება, 2025 წ. მუხლი 1, პუნქტი 1.1.

<sup>13</sup> სპორტის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 10, პუნქტი 6.

<sup>14</sup> ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის გამგეობის სხდომის ოქმი N44, 06.03.2025 წ.

<sup>15</sup> საქართველოს სპორტის მინისტრის 2025 წლის 23 იანვრის N00002582 ბრძანებით დამტკიცებული „ქართული ფეხბურთის განვითარების“ ქვეპროგრამა, მუხლი 4, პუნქტი 4 (მითითებულია ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის გამგეობის სხდომის ოქმში N44, გვ.3).

ზედამხედველობა.<sup>16</sup> ასევე, ფეხბურთის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის საქმიანი ურთიერთობების დამყარება საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, ამავე მიზნით სხვადასხვა ფინანსური სახსრების, მათ შორის გრანტების, ერთჯერადი დახმარებების, შემოწირულობების და სხვა მიღება და გაცემა.<sup>17</sup>

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფედერაციის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.<sup>18</sup>

უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს ის, რომ ფედერაცია აქტიურად იყენებს ზემოაღნიშნულ უფლებას და ახორციელებს კომერციულ საქმიანობას, კერძოდ შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშების ბილეთებს სარეალიზაციოდ გადასცემს შესაბამის ეკონომიკურ აგენტს პლატფორმაზე განთავსებისა და საბოლოო მომხმარებლისთვის მიყიდვის მიზნით.<sup>19</sup>

სააგენტო ყურადღებას შეაჩერებს ეკონომიკური აგენტის ცნებაზე. კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ეკონომიკური აგენტი არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა. უფრო ზუსტად, ეკონომიკური აგენტი (Undertaking) არის ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას - ე.ი. მოცემულ ბაზარზე საქონლის ან მომსახურების მიწოდებას - ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, რეზიდენტობისა და დაფინანსების წყაროს მიუხედავად. ეკონომიკურ აგენტებად ჩაითვლება ისეთი საწარმოებიც, რომლებზეც პირდაპირ ან ირიბ კონტროლს ახორციელებენ საჯარო უწყებები, მფლობელობის, ფინანსური მონაწილეობის ან მმართველობის წესის გამო.<sup>20</sup>

ეკონომიკური აგენტის განმარტებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიდგომა. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ არაერთ საქმეში იმსჯელა იმის შესახებ, აქვს თუ არა მნიშვნელობა ორგანიზაციის დაფინანსების წყაროს და მის ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას იმისთვის, რომ იგი მიჩნეული იქნას ეკონომიკურ აგენტად.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ ნებისმიერი სუბიექტი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მისი სამართლებრივი ფორმისა და დაფინანსების გზის მიუხედავად, მიჩნეული უნდა იქნას ეკონომიკურ აგენტად.<sup>21</sup> აქვე გასათვალისწინებელია, ის რომ ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მოიცავს საქონლის ან მომსახურების შეთავაზებას კონკრეტულ ბაზარზე, წარმოადგენს

<sup>16</sup> ფედერაციის წესდება, 2025 წ. მუხლი 2, პუნქტი 2.6.

<sup>17</sup> ფედერაციის წესდება, 2025 წ. მუხლი 2, პუნქტი 2.11.

<sup>18</sup> ფედერაციის წესდება, 2025 წ. მუხლი 64, პუნქტი „ე“.

<sup>19</sup> შპს „თინეთის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი N01/3980 საჩივრის დანართი N2

<sup>20</sup> კონკურენციის ტერმინთა განმარტების ლექსიკონი, 2019 წ. გვ. 52.

<sup>21</sup> საქმე C-41/90 Höfner and Elser [1991] ECR I-1979, პუნქტი 21, და გაერთიანებული საქმეები C-264/01, C-306/01, C-354/01 და C-355/01 AOK Bundesverband and Others [2004] ECR I-2493, პუნქტი 46.

ეკონომიკურ საქმიანობას<sup>22</sup> და ის ფაქტი, რომ ეკონომიკურ საქმიანობას სპორტთან (ამ შეთხვევაში ფეხბურთთან) კავშირი აქვს, არ უშლის ხელს იმას, რომ ქმედების დასარეგულირებლად გამოყენებული იქნას კონკურენციის კანონმდებლობა.<sup>23</sup> სასამართლომ, ასევე, არაერთ საქმეში განმარტა, რომ ორგანიზაციის მიერ საჯარო უფლებამოსილების ფლობა თავისთავად ხელს არ უშლის კონკურენციის სამართლის მიზნებისთვის მის ეკონომიკურ აგენტად კლასიფიცირებას სხვა დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის კონტექსტში. სასამართლო, ასევე ხაზს უსვამს, რომ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში მოქცეული საქმიანობის და ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაცია უნდა განხორციელდეს ცალ-ცალკე მოცემული სუბიექტის მიერ განხორციელებული თითოეული საქმიანობისთვის.<sup>24</sup> გარდა აღნიშნულისა, ორგანიზაციის ეკონომიკურ აგენტად მიჩნევისთვის მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, ეკონომიკური საქმიანობა ხორციელდება მოგების მიღების მიზნით თუ არა, რადგან ეკონომიკური აგენტის მიერ საქონლის ან მომსახურების ბაზარზე შეთავაზება კონკურენციას უწევს სხვა ოპერატორებს, რომლებიც ცდილობენ მოგების მიღებას.<sup>25</sup>

განსახილველ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლებისა და ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებით დგინდება, რომ ფედერაცია ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, რაც გამოიხატება საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშების ბილეთების ეკონომიკური ოპერატორისთვის სარეალიზაციოდ გადაცემაში ანაზღაურების სანაცვლოდ, შესაბამისად, იგი წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტს.

### 3.3. შესაბამისი ბაზარი

კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენცია არის შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. ამ განმარტებიდან გამომდინარე, კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

შესაბამისი ბაზარი არის საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფერო გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შემენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად.<sup>26</sup> კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული

<sup>22</sup> საქმე Case C-35/96 *Commission v Italy* [1998] ECR I-3851, პუნქტი 36, და Joined Cases C-180/98 to C-184/98 *Pavlov and Others* [2000] ECR I-6451, პუნქტი 75.

<sup>23</sup> საქმე C-519/04 P *Meca-Medina and Majcen v Commission* [2006] ECR I-6991, პუნქტები 22 და 28.

<sup>24</sup> საქმე C-49/07, *Motosyklistiki Omospondia Ellados NPID (MOTOE) v Elliniko Dimosio*, პუნქტი 25.

<sup>25</sup> საქმე C-222/04 *Cassa di Risparmio di Firenze and Others* [2006] ECR I-289, პუნქტები 122 და 123.

<sup>26</sup> კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების (შემდგომში - ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები) მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი პარამეტრების გამოყენებით:

- ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
- ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
- გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.<sup>27</sup>

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-8 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმები შესაძლოა, განხილულ იქნეს როგორც მომხმარებლის, ასევე მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით.

იმისათვის, რომ მართებულად დადგინდეს შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები, აუცილებელია განისაზღვროს ისეთი ბაზარი, რომელსაც რელევანტური მნიშვნელობა გააჩნია მოცემული საჩივრის დასაშვებობის გადასაწყვეტად. მომჩივნის მიერ საჩივარში განსაზღვრული დავის საგანი შეეხება საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების (მათ შორის ყველა ასაკობრივი ეროვნული საფეხბურთო ნაკრების და საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრების ბილეთების), (შემდგომში - საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთები) რეალიზაციის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს პირობას, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მანამდე არსებული კონტრაქტორი ეკონომიკური აგენტისათვის/ელექტრონული პლატფორმისათვის (TKT.GE) ბილეთების მიწოდების შეწყვეტა და ბაზრიდან განდევნა, რაც მომჩივნის აპელირებით მას აყენებს ზიანს. ამასთან, მომჩივანი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტთან, ფედერაციასთან თანამშრომლობა არის ერთადერთი გზა საქართველოს საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების გაყიდვის უფლების მოპოვებისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის დავა წარმოიშვა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების მომჩივნისთვის შემდგომი რეალიზაციის მიზნით მიწოდების შეწყვეტის და ბაზრიდან სავარაუდო განდევნის ნაწილში, სააგენტო ქმედების შეფასებას ახორციელებს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების

<sup>27</sup> კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 8.1.2.

მიმართულებით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში იკვეთება ორ სხვადასხვა ვერტიკალურ დონეზე არსებული განსხვავებული სახის მომსახურებები. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მომსახურებათა შემდეგი სახეები:

- **საქართველოს ეროვნული საფეხბურთო თამაშების ბილეთების დისტრიბუციო მომსახურების ბაზარი**

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების დისტრიბუციის ბაზარი წარმოადგენს მომსახურებას, რომელიც გულისხმობს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების მიწოდებას საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების საცალო რეალიზატორებისათვის.

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშების დაგეგმვისა და ორგანიზების უფლების საფუძველზე ფედერაციას ექმნება საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშების ბილეთების გაყიდვის ორგანიზების საშუალება, რაც აძლევს იმაზე წვდომას, რომ განახორციელოს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების დისტრიბუცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების დისტრიბუციის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენს ფედერაცია.

- **საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარი**

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის საცალო რეალიზაციის ბაზარი წარმოადგენს მომსახურებას, რომელიც გულისხმობს საბოლოო მომხმარებელამდე საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების მიწოდებას ელექტრონული სახით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების რეალიზება ხორციელდება ელექტრონული ფორმით შესაბამისი უფლების მქონე კომპანიის/კომპანიების ვებ-გვერდის მეშვეობით.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარზე მოქმედ სუბიექტს, სადავო ქმედების პერიოდში (ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი

) წარმოადგენს შპს „ელ.ბილეთები“.

სააგენტო განმარტავს, რომ ზედა დონისაა ბაზარი, რომლის ფარგლებშიც ხდება წარმოებისა და რეალიზაციის ჯაჭვის ქვედა რგოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო საქონლით/მომსახურებით ვაჭრობა (Upstream Market).<sup>28</sup> კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისას, ზედა დონის ბაზრის განსაზღვრა და მასზე საბაზრო ძალაუფლების არსებობის ფაქტის დადგენა ვერტიკალური შეთანხმებების, ვერტიკალური

<sup>28</sup> კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 2019, გვ. 67.

კონცენტრაციების და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ანალიზის არსებითი ნაწილია.<sup>29</sup>

აღნიშნულის საპირისპიროდ, ქვედა დონისაა ბაზარი, რომელზეც მოქმედი ეკონომიკური აგენტები იძენენ „ზედა დონეზე“ არსებული ეკონომიკური აგენტების ნაწარმს, რაც აუცილებელია იმ საქონლის დასამზადებლად ან მომსახურების მისაწოდებლად, რომელსაც, თავის მხრივ, საკუთარ კლიენტებზე ყიდიან (Downstream Market).<sup>30</sup>

ზედა დონის ბაზრის განსაზღვრის ანალოგიურად, კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისას, ქვედა დონის ბაზრის განსაზღვრა, მასზე საბაზრო ძალაუფლების ფაქტის არსებობა-არარსებობის დადგენა შესაბამისი ქმედების ანალიზის რელევანტური ნაწილია. თითოეულ შემთხვევაში შეფასების საგანია - ხომ არ ხდება ან ხომ არ მოხდება ზედა დონის ბაზარზე არსებული საბაზრო ძალაუფლების გამოყენება ქვედა დონის ბაზარზე წვდომის შესაზღვრად ან პირიქით.<sup>31</sup>

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ დავის საგანი შეეხება ფედერაციასა და შპს „ელ.ბილეთებს“ შორის შესაძლო ექსკლუზიური გარიგების დადებას. ასეთ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია, რომ ექსკლუზიური ხასიათის გარიგებები ძირითადად წარმოადგენს ვერტიკალური ხასიათის შეთანხმებებს, კერძოდ, იგი იდება ორი დონის ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს შორის - მიმწოდებელსა (რომელიც წარმოადგენილია ზედა დონის ბაზარზე) და შემძენს (რომელიც წარმოადგენილია ქვედა დონის ბაზარზე) შორის.<sup>32</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანი ქვედა დონის ბაზრის ჩაკეტვას უკავშირებს ზედა დონის ბაზრის „ძირითად რესურსს“/„არსებით საშუალებას“, უმნიშვნელოვანესია შეფასდეს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების დისტრიბუტორის, როგორც საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზრის „ძირითადი რესურსის“/„არსებითი საშუალების“ მოცემულობა, ანუ უნდა გაანალიზდეს რამდენად ხელმისაწვდომია ბაზარზე საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთები, საქართველოს ნაკრების თამაშის ბილეთების რეალიზატორი კომპანიებისთვის, რამეთუ ზედა დონის ბაზრის ძირითადი რესურსი წარმოადგენს ქვედა დონის ბაზარზე შესვლის ერთგვარ გასაღებს. კონკრეტულად კი დასადგენია განსაზღვრავს თუ არა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების დისტრიბუტორთან ხელშეკრულების დადება საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარზე ოპერირების საკითხს.

<sup>29</sup> Whish & Bailey, Competition Law (9th ed.), 697-784.

<sup>30</sup> კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 2019, გვ. 158.

<sup>31</sup> იხ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 28 ივნისის N04/91 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 25 ივნისის N04/65 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე, გვ. 33-34.

<sup>32</sup> ზუკაკიშვილი ქ., ჯაფარიძე ლ., ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 432.

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი პარამეტრების გამოყენებით: ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები; ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები; გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

### 3.3.1. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირებისათვის სააგენტო ყურადღებას მიაქცევს მომჩივნის მიერ საჩივარში მითითებულ გარემოებებს, რომელიც, მისივე პოზიციით, კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების შემცველია. კერძოდ, მომჩივნის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ფლობს ინფორმაციას შპს „ელ.ბილეთებსა“ და ფედერაციას შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულების პირობების შესახებ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, იგი ვარაუდობს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება შეიცავს ე.წ. „ექსკლუზიურ დათქმას“ (რაც შპს „ელ.ბილეთებს“ ექსკლუზიურ უფლებას ანიჭებს ბილეთების რეალიზაციის კუთხით). შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ბაზარზე არ არსებობს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების სხვა დისტრიბუტორი და ბილეთების მოპოვების ალტერნატიული შესაძლებლობა, ე.წ. „ექსკლუზიური დათქმა“ მომჩივანს საშუალებას ართმევს, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების საცალო რეალიზაციის ბაზარზე რაც, საბოლოო ჯამში, ზღუდავს ბაზარზე დაშვებასა და შესაბამისად, კონკურენციას.

საჩივარში მომჩივანი აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტების (ფედერაცია და შპს „ელ.ბილეთები“) ექსკლუზიური შეთანხმების შედეგად, მას არ ეძლევა შესაძლებლობა საკუთარ ონლაინ პლატფორმაზე მოახდინოს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების რეალიზაცია.

გამომდინარე იქიდან, რომ ფედერაცია არის ერთადერთი სუბიექტი, რომელსაც გააჩნია საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების დისტრიბუციის უფლება, ის წარმოადგენს აუცილებელ კონტრაპენტს ნებისმიერი ეკონომიკურ აგენტისათვის, ვისაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შევიდეს ან განაგრძოს ოპერირება საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე, ვინაიდან სწორედ ფედერაციამ უნდა გადასცეს შესაბამისი უფლება დაინტერესებულ სუბიექტს.

ელექტრონულ კომერციაში შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჩანაცვლებადობის საკითხი, რაც მოითხოვს კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზს და გულისხმობს მომხმარებელთა პრეფერენციების, ტექნოლოგიური და ბიზნეს ინოვაციისა და პროდუქტის მახასიათებლების შეფასებას.<sup>33</sup>

<sup>33</sup> იხ. OECD გზამკვლევი კონკურენციის პოლიტიკაზე ელ.კომერციის ზეგავლენის შესახებ, <https://www.oecd.org/daf/competition/implications-of-e-commerce-for-competition-policy-2018.pdf> გვ. 36.

ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ დღეის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების რეალიზაცია საცალო ბაზარზე, ხორციელდება მხოლოდ ელექტრონულად.

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დატკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-8 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას განსაზღვრული ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმები, შესაძლოა, განხილულ იქნეს, როგორც მომხმარებლის, ასევე მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით. ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენის პროცესში პოტენციურად ურთიერთჩანაცვლებელი პროდუქტების ჩანაცვლებადობის ხარისხი ფასდება თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზის მეშვეობით. რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენის პროცესშიც.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშები ხასიათდება განსაკუთრებული სპეციფიკით, ამასთან მას აქვს შესაძლებლობა იასპარეზოს ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე, მათ შორის ამ ტურნირების საკვალიფიკაციო ეტაპზე, ასევე, იგი წარმოადგენს სპორტის სხვა სახეობებისგან არსებითად განსხვავებულ სახეობას, შესაბამისად, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთები არ შეიძლება ჩანაცვლდეს სპორტის სხვა რომელიმე სახეობის ეროვნული ნაკრების თამაშების ბილეთებით. გარდა ამისა, სააგენტოში წარდგენილი საჩივარი ეხება სწორედ აღნიშნული უფლების (საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების ელექტრონული რეალიზაცია) მიღების შესაძლებლობის შეზღუდვასა და შეზღუდვის შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან, ვინაიდან მომჩივნის მითითებით უფლება შეეზღუდა სწორედ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე.

მომსახურების მახასიათებლების და გამოყენების მიზნების შესაბამისად, სააგენტოს მიერ, საჩივრით განსაზღვრული ქმედებების შეფასებისას, კანონის როგორც მე-6, ასევე მე-7 მუხლთან მიმართებით განისაზღვრება **ორდონიანი შესაბამისი ბაზარი. კერძოდ, შესაბამისი ბაზრის ზედა დონის პროდუქციულ საზღვრად დადგენილ იქნა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების (მათ შორის, ყველა ასაკობრივი ეროვნული საფეხბურთო ნაკრების და საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრების ბილეთების) სადისტრიბუციო მომსახურება, ხოლო შესაბამისი ბაზრის ქვედა დონის პროდუქციულ საზღვრად განისაზღვრა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების (მათ შორის, ყველა ასაკობრივი ეროვნული საფეხბურთო ნაკრების და საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრების ბილეთების) საცალო რეალიზაცია.**

### **3.3.2. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები**

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-11 მუხლის შესაბამისად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების (მათ შორის, ყველა ასაკობრივი ეროვნული საფეხბურთო ნაკრების და საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრების ბილეთების) როგორც სადისტრიბუციო მომსახურების მიღება, აგრეთვე საცალო რეალიზაცია უზრუნველყოფილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

შესაბამისად, სააგენტო შესაბამისი ბაზრის ორივე დონის გეოგრაფიულ საზღვრად მიიჩნევს ეროვნულ დონეს - მთელი ქვეყნის ტერიტორიას.

### **3.3.3. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩო**

შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრების კონკრეტული თამაშის ბილეთების სადისტრიბუციო მომსახურების, ასევე საცალო რეალიზაციის ბაზრის პერიოდი დროში შეზღუდულია, დროითი ჩარჩო არ ეხება მხოლოდ ერთ, კონკრეტულ თამაშს, არამედ იგი ეხება უშუალოდ პროცესს, რომელიც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ხორციელდება, კერძოდ თამაშებს, რომლებიც იმართება ევროპის ფეხბურთის ასოციაციის (UEFA), ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის (FIFA) და ფედერაციის მიერ წინასწარ დადგენილი გრაფიკის მიხედვით. შესაბამისად, საქართველოს ნაკრების თამაშის ბილეთების სადისტრიბუციო მომსახურების (ზედა დონე), ასევე საცალო რეალიზაციის (ქვედა დონე) ბაზარზე, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში რაიმე სახის წყვეტა წელიწადის დროების მიხედვით არ შეინიშნება, ამასთან მისი უწყვეტობა დამოკიდებულია შესაბამისი ორგანოების მიერ დადგენილი მატჩების გრაფიკზე.

### **შუალედური დასკვნა**

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, განსახილველი საჩივრის ფარგლებში სააგენტო ადგენს ორდონიან შესაბამის ბაზარს:

*შესაბამისი ბაზრის ზედა დონე:*

ა) შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები - საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების (მათ შორის, ყველა ასაკობრივი ეროვნული საფეხბურთო ნაკრების და საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრების ბილეთების) სადისტრიბუციო მომსახურების ბაზარი;

ბ) შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები - საქართველოს მთელი ტერიტორია;

გ) დროითი ჩარჩო - შესაბამის ბაზარს დროითი ჩარჩო არ გააჩნია.

#### ***შესაბამისი ბაზრის ქვედა დონე:***

ა) შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები - საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშების ბილეთების საცალო სარეალიზაციო ბაზარი;

ბ) შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები - საქართველოს მთელი ტერიტორია;

გ) დროითი ჩარჩო - შესაბამის ბაზარს დროითი ჩარჩო არ გააჩნია.

*აღნიშნული საზღვრების გათვალისწინებით, განსახილველი საჩივრის ფარგლებში, ორდონიან შესაბამის ბაზარს წარმოადგენს - საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების (მათ შორის, ყველა ასაკობრივი ეროვნული საფეხბურთო ნაკრების და საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრების ბილეთების) სადისტრიბუციო მომსახურების ბაზარი (ზედა დონე) და საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების (მათ შორის, ყველა ასაკობრივი ეროვნული საფეხბურთო ნაკრების და საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრების ბილეთების) საცალო სარეალიზაციო ბაზარი (ქვედა დონე).*

## **4. დომინანტური მდგომარეობა**

### **4.1. ზოგადი მიმოხილვა**

დომინანტური მდგომარეობის შეფასებისას უნდა დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა ფედერაცია კანონის მე-6 მუხლით დადგენილი აკრძალვების უშუალო ადრესატს. აღსანიშნავია, რომ კონკურენციის კანონმდებლობა ეკონომიკურ აგენტებს არ უკრძალავს ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ფლობას. კონკურენციის სამართალი აწესებს აკრძალვებს მხოლოდ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტებთან მიმართებით, რათა დაცულ იქნას ჯანსაღი კონკურენტული გარემო, რომელიც, თავის მხრივ, საბოლოო მომხმარებლების კეთილდღეობის უზრუნველყოფის საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური აგენტის საბაზრო

ძალაუფლების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი, დროის განსაზღვრულ პერიოდში მისი კუთვნილი საბაზრო წილია.

კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, დომინანტური მდგომარეობა არის „შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება.“

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დომინანტური მდგომარეობის საკანონმდებლო დეფინიცია შინაარსობრივად იმეორებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ მიდგომებს. კერძოდ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა გულისხმობს ისეთ ეკონომიკურ ძალაუფლებას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, იმოქმედოს მისი კონკურენტების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად და შესაბამის ბაზარზე შეზღუდოს ეფექტიანი კონკურენცია.<sup>34</sup> ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა გამომდინარეობს სხვადასხვა ფაქტორების კომბინაციიდან, რომელთაგან ცალკე აღებული ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლოა არ იყოს საკმარისი მსგავსი საბაზრო ძალაუფლების დასადგენად.<sup>35</sup> თუმცა, მართლმსაჯულების სასამართლო, ასევე აღნიშნავს, რომ შესაბამის ბაზარზე არსებული საბაზრო წილი წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს დომინანტური მდგომარეობის დასადგენად.<sup>36</sup>

მოცემულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, როდის და რა შემთხვევებში აქვს ეკონომიკურ აგენტს კონკურენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებელი მოქმედების, ბაზარზე საქონლის/მომსახურების მიმოქცევის პირობებზე გავლენის მოხდენისა და კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობა.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მეორე წინადადებაზე, სადაც კანონმდებელი გვთავაზობს საბაზრო წილის კონკრეტულ ნიშნულს, რომლის ქვემოთაც აუცილებელია სხვა დამატებითი მტკიცებულებების არსებობა იმისათვის, რომ დადგინდეს კონკრეტული ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა. ამდენად, შესაძლებელია ეკონომიკურ აგენტს არ გააჩნდეს 40 პროცენტისანი საბაზრო წილი, თუმცა სხვა მტკიცებულებებისა თუ გარემოებების გათვალისწინებით, იგი მაინც ჩაითვალოს

<sup>34</sup> ECLI:EU:C:1978:22, Case 27/76, “United Brands”, § 65; ECLI:EU:C:1979:36, Case 85/76, “Hoffmann-La Roche,” § 38; ECLI:EU:C:1983:313, Case 322/81, “Michelin”, § 30; ECLI:EU:T:1991:70, Case T-30/89, “Hilti AG”, § 90.

<sup>35</sup> ECLI:EU:C:1978:22, Case 27/76, “United Brands”, § 66; ECLI:EU:T:1991:70, Case T-30/89, “Hilti AG”, § 90.

<sup>36</sup> ECLI:EU:C:1979:36, Case 85/76, “Hoffmann-La Roche,” § 39/3; ECLI:EU:T:1991:70, Case T-30/89, “Hilti AG”, § 90.

დომინანტური მდგომარეობის მქონედ. სხვაგვარად რომ ითქვას, საბაზრო წილის 40 პროცენტიანი ნიშნული ქმნის ერთგვარ „უსაფრთხო თავშესაფარს,“ რის შედეგადაც აღნიშნულ ზღვარს ქვემოთ არსებული საბაზრო წილი ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა (კონკურენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებელი მოქმედების, ბაზარზე საქონლის მიმოქცევის პირობებზე გავლენის მოხდენისა და კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობა) არ არის სახეზე, თუ ამისათვის არ არსებობს სხვა გარემოებები ან/და მტკიცებულებები.

დამატებით გარემოებებსა და მტკიცებულებებთან მიმართებით სააგენტო ყურადღებას ამახვილებს კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, „ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე მისი საბაზრო წილის, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ფინანსური მდგომარეობის, ბაზარზე შესვლის ან წარმოების გაფართოების ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეულის წყაროების ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.“ დასახელებული ნორმით კანონმდებელი აკონკრეტებს იმ გარემოებებისა თუ მტკიცებულებების სახეებსა და ფორმებს, რომელზეც ასეთ დროს შეიძლება აქცენტი გაკეთდეს ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების შეფასებისას.

საბაზრო წილთან მიმართებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო აღნიშნავს, რომ ძალიან მაღალი საბაზრო წილი, გარდა განსაკუთრებული საგამონაკლისო შემთხვევებისა, თავისთავად წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებას. აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც კონკრეტული ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი 40 პროცენტს აღემატება, სხვა სახის მტკიცებულებებისა თუ გარემოებების არსებობის აუცილებლობაზე ქართული კანონმდებლობა არანაირ სპეციალურ დათქმას არ აკეთებს. აღნიშნული კი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ 40 პროცენტზე მეტი საბაზრო წილის ფლობა, როგორც წესი, მიუთითებს ეკონომიკური აგენტის ისეთ საბაზრო ძალაუფლებაზე, რომელიც მას აძლევს კონკურენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებელი მოქმედების, ბაზარზე საქონლის მიმოქცევის პირობებზე გავლენის მოხდენისა და კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობას. თუმცა, კონკრეტული საბაზრო მოცემულობის, ბაზრის სტრუქტურის გათვალისწინებითა და კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მხედველობაში მიღებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს სხვა ფაქტორებისა თუ პარამეტრების გაანალიზებაც.

სააგენტო მიუთითებს, რომ განსახილველი საჩივრის დასაშვებობის შემოწმების მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია კონკრეტული საბაზრო ქცევის მომენტში იმის იდენტიფიცირება, საერთოდ არსებობდა თუ არა (და რა ხარისხით), შესაბამის ბაზარზე კონკურენტული წნეხი. თუ არსებობდა, მაშინ მნიშვნელოვანია ის გარემოება, თუ რამდენად და რა ხარისხით გააჩნდათ კონკურენტული წნეხის შექმნის შესაძლებლობა კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ სახელშეკრულებო მოლაპარაკებების დროს ხელშეკრულების დადებაზე მომჩივნისათვის უარის თქმისა და

„ექსკლუზიური ხელშეკრულების“ დადების დროს. რაც შეეხება წნეხის არსებობას, ის განისაზღვრება ბაზრის მონაწილეთა მდგომარეობით (ერთმანეთისათვის კონკურენციის გაწევის უნარით) და წილობრივი წარმომადგენლობით შესაბამის ბაზარზე.

#### 4.2. საბაზრო წილი

ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილის განსაზღვრის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია იმ სუბიექტების იდენტიფიცირება, რომლებიც ოპერირებენ შესაბამის ბაზარზე.

როგორც აღინიშნა, კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ნაწილში მოპასუხე მხარეა - ფედერაცია, ხოლო მისი საბაზრო ძალაუფლება უნდა შეფასდეს ზედა დონის ბაზარზე, ანუ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ბილეთების დისტრიბუციის ბაზარზე, რომლის ფარგლებშიც ხდება წარმოებისა და რეალიზაციის ჯაჭვის ქვედა რგოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო საქონლით/მომსახურებით ვაჭრობა, რამეთუ სწორედ სადისტრიბუციო/მიწოდების მომსახურებაზე უარის თქმითა და ექსკლუზიური კონტრაქტორის შერჩევის გზით ბილეთების რეალიზაციის ბაზრიდან განდევნაზე და ბაზრის შეზღუდვაზე აპელირებს მომჩივანი, რადგანაც მომჩივნისა და სხვა ეკონომიკური აგენტებისათვის ზედა დონის ბაზარზე ფედერაციის მიერ მომსახურების გაწევა აუცილებელი მომსახურებაა ქვედა დონის ბაზარზე ოპერირებისათვის.

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, „შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტთა გამოვლენა ხდება სტატისტიკურ ან საგადასახადო მონაცემებზე დაყრდნობით, გამოკითხვებით ან სხვა საშუალებებით.

მომჩივანი საჩივარში უთითებს, რომ მასსა და ფედერაციას შორის ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა 2016 წლიდან, მას შემდეგ, რაც 2015 წელს შპს „ელ.ბილეთების“ მიერ ბარსელონა-სევილიის თამაშის ბილეთების გაყიდვისას გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები. მომჩივანსა და მოპასუხეს შორის თანამშრომლობა შეწყდა 2025 წლის 2 მისიდან, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ ფედერაციამ თანამშრომლობა გააგრძელა შპს „ელ.ბილეთებთან“ და იგი ვეღარ შეძლებდა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ბილეთების გაყიდვას. ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მატჩებზე დასასწრები ბილეთების მიმწოდებლად ფიქსირდება მხოლოდ ფედერაცია. თანამშრომლობის შეწყვეტის შემდგომ სწორედ ამიტომ გახდა სადავოდ მომჩივანმა ფედერაციის მიერ საქართველოს ეროვნული ნაკრების საფეხბურთო მატჩებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაციის უფლების გადაცემა სხვა ეკონომიკურ აგენტზე.

აღნიშნული გარემოებების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მატჩებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაციის უფლება და ამ უფლების სხვა სამართალსუბიექტისათვის გადაცემის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ ფედერაციას და აღნიშნული უფლება პოტენციურმა ეკონომიკურმა აგენტმა უნდა მოიპოვოს მხოლოდ ამ უკანასკნელი სამართალსუბიექტისგან.

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ბაზრის მოცულობა წარმოადგენს დროის განსაზღვრულ პერიოდში ბაზარზე მიწოდებული საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მოცულობას“. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „შესაბამისი ბაზრის მოცულობა განისაზღვრება ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ რეალიზებული საქონლის/მომსახურების მოცულობათა ჯამით,“ ხოლო მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის (მიმწოდებლის) წილი გაიანგარიშება პროცენტებში, სასაქონლო ბაზრის მოცულობასთან შეფარდებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფედერაცია წარმოადგენს შესაბამისი ბაზრის ზედა დონეზე ე.წ. მონოპოლისტ, ერთადერთ ეკონომიკურ აგენტს, რომელიც ფლობს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მატჩებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაციის უფლებას.

შესაბამისად, ფედერაცია არის რა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშების ბილეთების სადისტრიბუციო მომსახურების ბაზარზე ოპერირებადი ერთადერთი სუბიექტი, იგი ფლობს 100 პროცენტთან წილს და წარმოადგენს ამ ბაზრის დომინანტ ეკონომიკურ აგენტს. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში აშკარაა, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტის სახით საქმე გვაქვს ბაზრის დომინანტ სუბიექტთან და იგი უდავოდ წარმოადგენს კანონის მე-6 მუხლით დადგენილი აკრძალვების უშუალო ადრესატს.

#### **5. სადავო ქმედების შეფასება კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით**

განსახილველი საჩივარი ეხება კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას, რომლის ფარგლებშიც, მოპასუხე - ფედერაციასა და შპს „ელ.ბილეთებს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, სავარაუდოდ, მომჩივანი განიდევენა ბაზრიდან.

კანონის მე-6 მუხლის ფარგლებში განსახილველ ზემოაღნიშნულ სადავო ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით სააგენტო აღნიშნავს, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ნაწილში შეფასებულ უნდა იყოს მოპასუხის - ფედერაციის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის ფაქტი.

კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინანტობის შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს წარმოების, ბაზრების ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა.

იმისათვის, რომ მოცემულ შემთხვევაში, შეფასდეს ეკონომიკური აგენტის ქმედებათა შესაბამისობა კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, აუცილებელია, საჩივარში მითითებული ქმედება ექცეოდეს აღნიშნული ნორმის დისპოზიციისაში. აგრეთვე, იმისათვის, რომ სახეზე იყოს კანონის მე-6 მუხლით აკრძალული ქმედება, აუცილებელია შემდეგი ორი ძირითადი წინაპირობის

კუმულატიურად არსებობა: 1) ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის არსებობა შესაბამის ბაზარზე და 2) აღნიშნული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. შესაბამისად, დასახელებული ნორმის დარღვევა სახეზეა მაშინ, როდესაც ქმედება ხორციელდება დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ და ეს ქმედება წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე არსებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის მე-6 მუხლთან მიმართებაში, საჩივრის დასშვებობის შემოწმების ფარგლებში, სააგენტოს პირველადი შეფასების უმთავრეს საგანს წარმოადგენს ის, თუ რამდენადაა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე დასახელებული ორი წინაპირობის კუმულატიურად არსებობის ფაქტი.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ასეთ დროს სააგენტოსათვის იურიდიულად ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს სადავო ქმედების შინაარსისა და დავის საგნის იდენტიფიცირება<sup>37</sup>. მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების ფონზე, ამ ეტაპზე, საქმეში არსებული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ყურადღება გაამახვილოს მხარეთა შორის, როგორც გასულ პერიოდში, აგრეთვე მიმდინარე პერიოდში არსებულ სამართლებრივ ურთიერთობათა ჯაჭვზე, რადგან საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მომჩივანი და მოპასუხე (ფედერაცია) იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობებში და მიმდინარე ეტაპზე მომჩივანი მოცემულ სახელშეკრულებო ურთიერთობებში ჩაანაცვლა შპს „ელ.ბილეთებს“. აქედან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია იმსჯელოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში და ქმედების აღნიშნული ქვეპუნქტის ჭრილში შეფასების მიზნით ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე გარემოებაზე:

- *ფედერაციას და შპს „ელ. ბილეთებს“ შორის დადებული ხელშეკრულება (შემდომში - „მიმდინარე ხელშეკრულება“)*  
მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებიდან იკვეთება, რომ მოპასუხეებს - ფედერაციასა და შპს „ელ. ბილეთებს“ შორის დაიდო მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად,

<sup>37</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 09 აგვისტოს №04/121 გადაწყვეტილება („სადაზღვევო კომპანია უნისონის საქმე“) გვ. 12.

- **ფედერაციას და შპს „თინეთს“ შორის „მიმდინარე ხელშეკრულების“ დადებამდე არსებული სამართლებრივი ურთიერთობები**

აღსანიშნავია, რომ შპს „თინეთი“ და ფედერაცია 2016 წლიდან თანამშრომლობდნენ ბილეთების ელექტრონული ვაჭრობის სფეროში. უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ მხარეებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის პუნქტის თანახმად,

- **შესაძლო კავშირი გენერალურ სპონსორთან**

მომჩივანი საჩივარში მიუთითებს, რომ შპს „ელ. ბილეთები“ წარმოადგენს სს „საქართველოს ბანკის“ ჯგუფში შემავალ კომპანიას, ხოლო თავის მხრივ ეს უკანასკნელი წლიდან ფედერაციის სპონსორია და სწორედ აღნიშნულ გარემოებას უკავშირებს მომჩივანი, იმას, რომ ფედერაცია სახელშეკრულებო ურთიერთობაში შევიდა შპს „ელ. ბილეთებთან“ და არა მასთან, რადგან სს „საქართველოს ბანკის“ ჯგუფს გააჩნდა, როგორც რეალური ინტერესი, ისე ფაქტობრივი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა შპს „ელ. ბილეთების“ და ფედერაციის ქმედებებზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილით, კანონმდებელმა კერძო სამართლის სუბიექტები აღჭურვა იმ უფლებამოსილებით, რომ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით. უდავოდ, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მომჩივნის მიერ მომსახურების ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ, კერძოდ წლიდან პერიოდში, პერიოდულად ხორციელდებოდა ფედერაციასთან თანამშრომლობა, მათ შორის მომსახურების საკომისიოს მიღება. შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ მხარეების მიერ ზემოხსენებული სერვისების გაწევაზე განხორციელებულია ნების გამოვლენა კონკლუდენტური მოქმედებით, რომელიც გამომდინარეობს ფაქტობრივად განხორციელებული მოქმედებიდან<sup>38</sup>. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოქმედი კანონმდებლობა არ კრძალავს ზეპირი გარიგების დადების შესაძლებლობას, თანამედროვე ლიტერატურაში აღნიშნული ინსტიტუტი მოაზრებულია, როგორც ხელშეკრულების დადება ტექნიკური საშუალებით. მაგ. მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით, დასკანირებული დოკუმენტების გაგზავნით და ა.შ. დადებული გარიგება უნდა ჩაითვალოს ზეპირად, ვინაიდან ამ დროს ვერ სრულდება წერილობითი

<sup>38</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, 2017 წ. (გვ. 309).

ფორმის წინაპირობები, კერძოდ, არ არის სახეზე ხელმოწერა<sup>39</sup>. შესაბამისად, მხარეებს შორის ზეპირი გარიგების დადებისათვის საჭირო წინაპირობები, მოცემული საქმის მასალებზე დაყრდნობით, შეგვიძლია მივიჩნიოთ დაკმაყოფილებულად.

ზემოხსენებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ როგორც მომჩივანი, აგრეთვე ერთ-ერთი მოპასუხე - შპს „ელ. ბილეთები“, პერიოდულად შესაბამის ბაზარზე იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობებში ფედერაციასთან. შედეგად, როგორც ძირითადი, აგრეთვე დამატებითი სახელშეკრულებო პირობები თანხმდებოდა მხარეთა ორმხრივი ნების გამოვლენის შედეგად, როგორც ზეპირი გარიგების ფორმით, აგრეთვე წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულებით. უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მომჩივანს და შპს „ელ. ბილეთებს“ გააჩნდათ განსხვავებული საკომისიო, ხოლო როგორც ფედერაცია მის მიერ სააგენტოსათვის წარმოდგენილ პოზიციაში აღნიშნავს<sup>40</sup>, შპს „ელ. ბილეთები“ არჩეულ იქნა უკეთესი კომერციული პირობების გამო, რაც მათი მოსაზრებით თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის ნაწილია. კერძოდ, ფედერაციის განმარტებით

შედეგად, ცალსახაა, რომ მოპასუხე - ფედერაციამ, როგორც ეკონომიკურმა აგენტმა, უკეთესი კომერციული პირობების გამო მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშის ბილეთების სარეალიზაციოდ გადაცემის უფლების ნაწილში შპს „თინეთი“, ჩაენაცვლებინა შპს „ელ. ბილეთებით“<sup>43</sup>, რაც სააგენტოს შეფასებით ვერ წარმოშობს კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის გონივრულ ეჭვს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მომჩივანმა საჩივრის წარმოდგენის შემდგომ დამატებით მომართა სააგენტოს, მოპასუხე - შპს „ელ. ბილეთების“ მიერ „მიმდინარე ხელშეკრულების“ პირობების შესაძლო შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც სააგენტო განმარტავს, რომ სააგენტო ფედერაციას და შპს „ელ. ბილეთებს“ შორის დადებული მიმდინარე ხელშეკრულების პირობების შესრულების ან შეუსრულებლობის საკითხზე ვერ იმსჯელებს იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ეს მოითხოვს იმგვარი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებას, რომელთა ანალიზის კომპეტენცია და უფლებამოსილება სააგენტოს არ გააჩნია. ამ შემთხვევაში, გამოდის, რომ სააგენტომ უნდა შეისწავლოს - ხელშეკრულების შინაარსი და მოახდინოს მხარეების მიერ განხორციელებული ქმედებების სუბსუმცია ხელშეკრულების პირობებთან, კერძოდ

<sup>39</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, 2017 წ. (გვ. 394).

<sup>40</sup> სააგენტოში შემოსული ფედერაციის 2025 წლის 24 ივლისის №549 წერილი, გვ. 4.

<sup>41</sup> შპს „თინეთის“ 2025 წლის 04 ივლისის №01/3980 საჩივრის დანართი №2.

<sup>42</sup> ფედერაციას და შპს „ელ. ბილეთებს“ შორის 2025 წლის 29 აპრილს დადებული ხელშეკრულების 3.1. პუნქტი.

<sup>43</sup> შპს „თინეთის“ 2025 წლის 04 ივლისის №01/3980 საჩივრის დანართი №2 და ფედერაციას და შპს „ელ. ბილეთებს“ შორის 2025 წლის 29 აპრილს დადებული ხელშეკრულება

რამდენად სწორად შესრულდა/სრულდება ისინი, რაც ცალსახად სცილდება როგორც კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებას, ასევე, კონკურენციის კანონმდებლობის ფარგლებს და კანონის მე-6 მუხლის მოქმედების სფეროს.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დამატებით მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმას, რომ სააგენტოს მიერ განვითარებულ პრაქტიკაში ნამსჯელია მხარეთა ორმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების მიმართებაზე კონკურენციის კანონმდებლობასთან, სადაც სააგენტომ განმარტა: „მხარეთა მიერ მათი ორმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების შესრულებასა და გარკვეული ტერიტორიის დამუშავების შეუძლებლობა/შესაძლებლობის საკითხზე დავის გადაწყვეტასა და განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო ვერ იქნება სააგენტო, ვინაიდან დავის შინაარსს წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების კონკრეტული ნორმების შესრულების საკითხი“<sup>44</sup>.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მომჩივანს, ფედერაციასა და შპს „ელ. ბილეთებს“ შორის ხელშეკრულების დადებაზე საქართველოს ბანკის ჯგუფის შესაძლო ზეგავლენის დასადასტურებლად რაიმე ტიპის მტკიცებულება საჩივრის დასაშვებობის შესწავლის ეტაპზე არ წარმოუდგენია.

გარდა ზემოხსენებულისა, სააგენტო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოპასუხეებს - შპს „ელ. ბილეთებს“ და ფედერაციას შორის დადებული მიმდინარე ხელშეკრულება მოქმედია რაც მომჩივანს აძლევს შესაძლებლობას ახალ სახელშეკრულებო პერიოდზე ფედერაციასთან აწარმოოს მოლაპარაკებები და უკეთესი კონკურენტული კომერციული პირობების შეთავაზებით, მოიპოვოს უპირატესობა მოქმედ კონტრაქტთან - შპს „ელ. ბილეთებთან“ ან სხვა პოტენციურ კონკურენტთან მიმართებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილი მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს, კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, რის გამოც, სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

## 6. სადავო ქმედების შეფასება კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

### 6.1. ზოგადი მიმოხილვა

კანონის მე-7 მუხლის დარღვევის დასადგენად სააგენტო კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული აღნიშნული მუხლის წინაპირობები. დასახელებული ნორმის შემადგენლობა სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკონომიკური აგენტების ან აგენტთა ასოციაციის მიერ დადებულ ხელშეკრულებას, მიღებულ

<sup>44</sup> სააგენტოს 2020 წლის 27 ნოემბრის №04/157 გადაწყვეტილება (2020 წლის 7 ოქტომბრის N01/487 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ), გვ. 15.

გადაწყვეტილებას ან განხორციელებულ შეთანხმებულ ქმედებას, მიზნის ან/და შედეგის სახით თან სდევს წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შესაძლო სადავო ქმედება ჩადენილი იქნეს მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელებული კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით (ცალმხრივი ქმედება არ ექცევა კანონის მე-7 მუხლის შემადგენლობაში).

მომჩივანი საჩივარში აღნიშნავს, რომ ადგილი აქვს კანონის მე-7 მუხლის დარღვევას, კერძოდ, ეკონომიკურ აგენტებს შორის ექსკლუზიურ შეთანხმებას (წერილობით ან ზეპირად). საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო შეისწავლის საქმეში არსებულ ინფორმაციასა და მტკიცებულებებს და იკვლევს, რამდენად არსებობს გონივრული ეჭვი კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს შპს „ელ.ბილეთებსა“ და ფედერაციას შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულების შინაარსზე, ვინაიდან საჩივარში შპს „თინეთი“ საუბრობს სწორედ ფედერაციასა და შპს „ელ.ბილეთებს“ შორის ექსკლუზიურ შეთანხმებაზე და ამის დამადასტურებლად მიუთითებს მათ შორის არსებულ ხელშეკრულებაზე.

კანონის მე-7 მუხლის წინაპირობებზე გონივრული ეჭვის არსებობის შეფასებამდე, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გამახვილდეს სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მიმართებაზე კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებებისადმი. სააგენტოს თავისი პრაქტიკით<sup>45</sup> დადგენილი აქვს, თუ რა ადგილი შეიძლება ჰქონდეს სახელშეკრულებო თავისუფლების კერძოსამართლებრივ პრინციპს კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებების/შეთანხმებების შეფასების პროცესში. ხელშეკრულების დადების თავისუფლება სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია. ხელშეკრულების თავისუფლების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 319-ე მუხლი. კერძოდ, სსკ-ის 319-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი.“ ამ თვალსაზრისით, ხელშეკრულების დადების თავისუფლება, ასევე, მოიცავს კონტრაქტის არჩევის თავისუფლებასაც. აღნიშნული დადასტურებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, რომელიც ხელშეკრულების თავისუფლებად მისი შინაარსის განსაზღვრას, ფორმაზე შეთანხმებასა და კონტრაქტის არჩევის შესაძლებლობას მიიჩნევს<sup>46</sup>.

სააგენტო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალში არსებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი არ არის აბსოლუტური და აღნიშნული თავისუფლების ერთერთ ზღვარს წარმოადგენს კანონის მე-7 მუხლი, რომელიც კონკურენციის საწინააღმდეგო

<sup>45</sup> იხ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 დეკემბრის N04/266 ბრძანებითა და 2023 წლის 29 დეკემბრის N 04/1031 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებები.

<sup>46</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 10 ივნისის Nას-149-142-2013 განჩინება.

ნებისმიერი ხელშეკრულების, გადაწყვეტილებისა თუ შეთანხმებული ქმედებისათვის აწესებს აკრძალვებს.

სააგენტო აღნიშნავს, რომ დასაშვებობის ეტაპზე საჩივრის სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის, მათ შორის კონტრაქტის არჩევის თავისუფლების საკითხი სააგენტოს მიერ განიხილება იმის შესაფასებლად, ქმნის თუ არა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები/გარემოებები საკმარის საფუძველს იმის ვარაუდისა, რომ შესაძლოა მოპასუხე მხარეების ქმედება უკავშირდება ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვას ან/და აღკვეთას.

კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ის ზოგადი ნორმატიული შემადგენლობა, რომელიც თანაბრად ვრცელდება ნებისმიერი სახის შეთანხმებაზე (სპეციალურ ნორმატიულ შემადგენლობაზე), კერძოდ:

ა) ეკონომიკური აგენტები ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია;

ბ) ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დადებული ხელშეკრულება, მიღებული გადაწყვეტილება ან განხორციელებული შეთანხმებული ქმედება;

გ) დადებული ხელშეკრულების, მიღებული გადაწყვეტილების ან განხორციელებული შეთანხმებული ქმედების მიზანი ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა.

დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო ამოწმებს, რამდენად არსებობს გონივრული ეჭვი, რომ სახეზე იყოს ზემოთ აღნიშნული ელემენტების ერთობლიობა.

**ა) ეკონომიკური აგენტები** - აღნიშნულ კატეგორიაში, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოიაზრებიან: 1. ეკონომიკური აგენტები და 2. ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებები. საქართველოს მოქმედი კონკურენციის ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით (კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი) ეკონომიკური აგენტი არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა. კანონი არ განმარტავს „ეკონომიკური საქმიანობის“ ცნებას. თუმცა, საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სააგენტოში წარმოდგენილ საჩივარში მოპასუხეებად მითითებული არიან: შპს ელ.ბილეთები, სს „საქართველოს ბანკი“, ღია სს „საქართველოს ბანკის ჯგუფი“ (ამჟამად Lion Finance Group) და ფედერაცია. მხარეების პოზიციების, ასევე, შესაბამისი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის და სააგენტოს ხელთ არსებული სხვა ინფორმაციის

საფუძველზე, აღნიშნული სუბიექტები ექცევიან ეკონომიკური აგენტების დეფინიციაში (მათ შორის, ფედერაცია, რის შესახებაც სააგენტოს მსჯელობა მოცემულია ზემოთ).

**ა.ა) ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი** - მომჩივანი მიუთითებს, რომ ფედერაციასა და შპს „ელ.ბილეთებს“ შორის ექსკლუზიური თანამშრომლობა განხორციელდა საქართველოს ბანკის მოთხოვნით და სს „საქართველოს ბანკი“ და შპს „ელ.ბილეთები“ მოქმედებენ როგორც ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი. შესაბამისად, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინაზე.

„ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინა კანონის მე-7 მუხლის მიზნებისათვის გამოიყენება იმის დასადგენად მოპასუხე კომპანიები მოქმედებდნენ თუ არა როგორც ერთი სუბიექტი. სააგენტოს შეფასებით, რამდენიმე პირის ერთიანი ეკონომიკურ სუბიექტად შერაცხვის საკითხის განხილვისას, შესამოწმებელ უმთავრეს კრიტერიუმს წარმოადგენს კონკრეტული კომპანიის რეალური ავტონომიისა და კომპანიის მოქმედების კურსის დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობა. ზოგიერთ შემთხვევაში ავტონომიის მაღალი ხარისხის არსებობა შესაძლებელია მაშინაც, თუ დაკმაყოფილებულია ურთიერთდამოკიდებულების წინაპირობები კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვინაიდან ურთიერთდამოკიდებული პირების ცნების ქვეშ კანონი მოიაზრებს პირთა საკმაოდ ფართო წრეს, ნათესავებისა და მათ მიერ დაფუძნებული კომპანიების ჩათვლით და ისინი ავტომატურად, ყველა შემთხვევაში ვერ იქნებიან მიჩნეულნი ერთიანი ეკონომიკურ სუბიექტად<sup>47</sup>. ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ფაქტის დადგენა ავტომატურად არ განაპირობებს მათ „ერთიანი ეკონომიკურ სუბიექტად“ მიჩნევას. კერძოდ, „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ ცნებასთან დაკავშირებით სააგენტომ უკვე იმსჯელა რამდენიმე<sup>48</sup> საქმეში და მიიჩნია, რომ განცალკევებული სამართლებრივი სტატუსის მქონე ეკონომიკური აგენტები შესაძლოა მოვიაზროთ ერთ სუბიექტად, თუკი მათ შორის არსებობს მჭიდრო ეკონომიკური კავშირი და ურთიერთზემოქმედების ის ხარისხი, რაც მათი დამოუკიდებლად განხილვის შესაძლებლობას არ იძლევა.

მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის ბაზაზე დაყრდნობით, მოცემულ ეკონომიკურ აგენტებთან დაკავშირებული კორპორაციულ-სამართლებრივი მონაცემების, წილობრივი მონაწილეობის და ურთიერთმიმართების, ხელმძღვანელი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილი პირების კავშირების შესახებ ინფორმაციის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ Lion Finance Group (სახელის ცვლილებამდე - ღია სს „საქართველოს ბანკის ჯგუფი“) წარმოადგენს დიდ ბრიტანეთში


<sup>47</sup> კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 25 ივნისის N04/65 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება (სადაზღვევო ჯგუფის საქმე), გვ. 58-59; საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 დეკემბრის N 04/1031 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის საქმე“, გვ. 41; საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 14 მაისის N 04/508 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „რუსთავის ავტობაზრობისა და მიკადო ჯორჯიას საქმე“, გვ. 67.

<sup>48</sup> სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის N04/186 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 22, სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 6 ივლისის N04/166 გადაწყვეტილება, გვ. 13, სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 28 ივნისის N04/91 გადაწყვეტილება, გვ. 48.

რეგისტრირებულ ფინანსურ ჰოლდინგს. იგი საქართველოს ტერიტორიაზე არ ახორციელებს კომერციულ საქმიანობას. თუმცა საქართველოში საქმიანობს მისი შვილობილი კომპანია სს ბიჯეო ჯგუფი (ს/ნ: 405103034). სს „საქართველოს ბანკი“, რომელიც ერთ-ერთ მოპასუხედ არის დასახელებული სააგენტოში წარმოდგენილ საჩივარში, არის სს ბიჯეო ჯგუფის (ს/ნ: 405103034) შვილობილი. სს ბიჯეო ჯგუფის შვილობილს წარმოადგენს, ასევე, სს „ბიჯი ფაინანშიალი“ (ს/ნ: 402018918), რომელიც არის სს დიჯიტალ არეას (ს/ნ: 402096227) (შპს „ელ.ბილეთების“ დაახლოებით 93% წილის მესაკუთრე) დამფუძნებელი.

საჩივარში მომჩივანი აღნიშნავს, რომ საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორი (ა.გ.) ასევე იკავებს აღმასრულებელ ან არააღმასრულებელ თანამდებობებს ზემოთ მითითებულ კომპანიებში. კერძოდ, ა.გ. წარმოადგენს სს დიჯიტალ არეას სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს/წევრს. იგი იკავებს სს ბიჯი ფაინანშიალის (ს/ნ: 402018918) და სს ბიჯეო ჯგუფის (ს/ნ: 405103034) გენერალური დირექტორი/დირექტორთა საბჭოს წევრის პოზიციებს. ასევე, სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის პოზიციას. აღნიშნული კი მომჩივნის განცხადებით აშკარად მიუთითებს ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის არსებობაზე (ზემოთ მითითებული ურთიერთკავშირების შესახებ ინფორმაცია გრაფიკულად მოცემულია „სქემა 1“-ის სახით).

**სქემა 1.**



ზემოთ მოცემული გარემოებების საფუძველზე შპს „ელ.ბილეთებსა“ და საქართველოს ბანკს/Lion Finance Group-ს შორის ურთიერთდამოკიდებულება ვერ დგინდება. „დამაკავშირებელი“ ფიზიკური პირი (ა. გ.) სხვადასხვა თანამდებობებს იკავებს სს „ბიჯი ფაინანშიალში“, სს „ბიჯეო ჯგუფში“, სს „საქართველოს ბანკსა“ და სს „დიჯიტალ

არეაში“, ხოლო შპს „ელ.ბილეთებთან“ მას შეხება არ აქვს. შესაბამისად, კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით შპს „ელ.ბილეთები“ და სს „საქართველოს ბანკი“ ან Lion Finance Group ვერ ჩაითვლებიან ურთიერთდამოკიდებულ პირებად. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთდამოკიდებულების არსებობის შემთხვევაშიც კი, ეს უკანასკნელი გარემოება არ არის საკმარისი, ისევე როგორც აუცილებელი წინაპირობა, კომპანიების მიმართ ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინის გამოყენებისათვის.

**ბ) ქმედება** - ნორმის აღნიშნული ელემენტი წარმოდგენილია სამი ალტერნატივის სახით: 1. შეთანხმება; 2. შეთანხმებული ქმედება და 3. გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს მხოლოდ შეთანხმებაზე (ხელშეკრულებაზე), ვინაიდან მხარეთა (შპს „ელ.ბილეთები“ და ფედერაცია) შორის შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სწორედ სავარაუდო კონკურენციის შემზღვეველ შეთანხმებას.

კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით ბაზრის შეზღუდვა შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ქმედებებისა თუ მეთოდების საშუალებით. ბაზრის შეზღუდვის ერთ-ერთ საშუალებას კი წარმოადგენს ისეთი ექსკლუზიური ხელშეკრულების დადება, რომელსაც კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი ან მიზანი გააჩნია - ე.წ. „Exclusive dealing“. ექსკლუზიური ხელშეკრულების დადება შეიძლება სხვადასხვა ფორმით იყოს გამოხატული. ევროკავშირის სამართალი და პრაქტიკა გამოჰყოფს ექსკლუზიური ვერტიკალური შეთანხმებების შემდეგ სახეებს: ექსკლუზიური მიწოდება („Exclusive supply“), ექსკლუზიური დისტრიბუცია („Exclusive distribution“), შერჩევითი დისტრიბუცია („Selective distribution“), მომხმარებლის ექსკლუზიური განაწილება („Exclusive customer allocation“) და სხვა.

კომისიის შეტყობინება ვერტიკალური შეზღუდვების სახელმძღვანელო მითითებების შესახებ<sup>49</sup> კონკურენციის შემზღვეველი ვერტიკალური სახის ერთ-ერთ შეთანხმებად სხვა ფორმებთან ერთად მოიაზრებს „ექსკლუზიური მიწოდების“ შეთანხმებას („Exclusive supply“). ექსკლუზიური მიწოდების ცნებაში შედის ის შეთანხმებები, რომელთა ძირითადი ელემენტია ის, რომ მიმწოდებელი ვალდებულია ან იძულებულია მიყიდოს კონტრაქტით გათვალისწინებული პროდუქტები/მომსახურება მხოლოდ ან ძირითადად ერთ მყიდველს, ზოგადი ან კონკრეტული გამოყენებისთვის. ეს შეიძლება იყოს ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულების ფორმა, რომელიც ზღუდავს მიმწოდებელს მიყიდოს მხოლოდ ერთ მყიდველს ხელახალი გაყიდვის ან კონკრეტული გამოყენების მიზნით.<sup>50</sup>

ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულება („Exclusive supply“) გულისხმობს მიმწოდებლისთვის (მწარმოებელი, დისტრიბუტორი და ა. შ.) დაკისრებული ნებისმიერი სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ ვალდებულებას, შესაბამისი

<sup>49</sup> Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52010XC0519%2804%29>.

<sup>50</sup> Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, პარა 192; იხ. ასევე: Communication from the Commission COMMISSION NOTICE Guidelines on vertical restraints 2022/C 248/01, პარა 321, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A52022XC0630%2801%29>.

შეთანხმებით/ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ან მომსახურება მიაწოდოს მხოლოდ ერთ შემქმენს.<sup>51</sup>

როგორც წესი, ცალკეული პროდუქტისა თუ მომსახურების მოთხოვნა/მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების მეშვეობით ყალიბდება. ასეთი ხელშეკრულების ის ნაწილი თუ პუნქტი, რომელიც ექსკლუზიური მიწოდების ან მომსახურების ვალდებულებას ადგენს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის სახელით არის ცნობილი. ცალკეულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული კონკურენციის შემზღვეველი ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა მთლიან ხელშეკრულებას არ აქცევს კონკურენციის შემზღვეველ შეთანხმებად, არამედ, ამ შემთხვევაში თვითონ ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა ქმნის კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმების ფაქტობრივ მოცემულობას.

სააგენტო მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე ამოწმებს წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი, რომ ფედერაციასა და შპს „ელ.ბილეთებს“ შორის დადებული მოქმედი ხელშეკრულება წარმოადგენს ექსკლუზიური მიწოდების შესახებ შეთანხმებას.

**გ) კონკურენციის შემზღვეველი მიზანი ან შედეგი** - სააგენტოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით და, ასევე, შემუშავებული მე-7 მუხლის გზამკვლევის თანახმად, აღნიშნული წინაპირობა ეკონომიკური აგენტის მიერ ჩადენილ ქმედებასა და კონკურენციის შეზღუდვას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად გამოიყენება<sup>52</sup>. კანონის მე-7 მუხლის შემადგენლობის საკვანძო პუნქტი არის მოცემულობა, რომ განხორციელებული ხელშეკრულება, გადაწყვეტილება თუ ქმედება უნდა იყოს იმგვარი მიზნის ან შედეგის მატარებელი, რომ ზღუდავდეს, არ უშვებდეს ან/და კრძალავდეს კონკურენციას. დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო შეამოწმებს რამდენად არსებობს გონივრული ეჭვი, რომ სადავო ხელშეკრულება ზღუდავს, არ უშვებს ან/და კრძალავს კონკურენციას.

სააგენტო აღნიშნავს, რომ მე-7 მუხლის საფუძველზე მოკვლევის დაწყება საჭიროებს გონივრული ეჭვის დასაბუთების მაღალ სტანდარტს, რის გადალახვაშიც, თავის მხრივ, მონაწილეობა უნდა მიიღოს მომჩივანმა, მის ხელთ არსებული შესაბამისი და გონივრული მტკიცებულებების (მათ შორის პირდაპირი და ირიბი, ე.წ გარემოებრივი) წარდგენით. ამასთან, მნიშვნელოვანია სამართლებრივად სწორად განისაზღვროს მითითებული ქვეპუნქტით ქმედების კვალიფიკაციისთვის საჭირო წინაპირობები და სწორედ ამ წინაპირობებთან ერთად შეფასდეს წარმოდგენილი ინფორმაცია/მტკიცებულებები სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ.

<sup>51</sup> Communication from the Commission notice Guidelines on vertical restraints 2022/C 248/01, §321.

<sup>52</sup> გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები, 2017, გვ. 7-8.

## 6.2. შპს „ელ.ბილეთებსა“ და ფედერაციას შორის ურთიერთობის სავარაუდო ექსკლუზიური ხასიათი

საჩივრის დასაშვებობის ფარგლებში, სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებული ეჭვის გონივრულობის შეფასების მიზნით, სააგენტოს მიერ გამოთხოვილ და მიღებულ იქნა შპს „ელ.ბილეთებსა“ და ფედერაციას შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საგანია

აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დამუშავების შედეგად, დგინდება შემდეგი გარემოების არსებობა - ხელშეკრულების

ხელშეკრულების ზემოთ მითითებული ნორმის ანალიზისა და განმარტების შედეგად დგინდება შემდეგი გარემოებების არსებობა -



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამკვეთს გააჩნია სრული სამართლებრივი შესაძლებლობა ნებისმიერ დროს, ნებისმიერი საფუძვლით დაბრკოლებებისა და ბარიერების გარეშე, გადაერთოს არსებული პლატფორმიდან სხვა მისთვის სასურველ, მათ

შორის მომჩივნის მიერ ოპერირებად პლატფორმაზე (tkt.ge). აღნიშნული არჩევანი არ არის შეზღუდული შპს „ელ.ბილეთებსა“ და ფედერაციას შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულებით, ამავე არჩევანის გაკეთება დამკვეთს ნებისმიერ დროს, ნებისმიერი მიზეზით შეუძლია, მისთვის ყოველგვარი სანქციის დაკისრებისა და მომსახურების ღირებულების გაძვირების გარეშე.

დამატებით, სააგენტო ადასტურებს იმ გარემოებას, რომ საჩივრის დასაშვებობის ფარგლებში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე არ დგინდება გონივრული ეჭვის არსებობა მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის იმგვარი შეთანხმების (მათ შორის, ზეპირი ფორმით) არსებობის შესახებ, რომელიც გამორიცხავდა ან შეზღუდავდა კონკურენციას. აგრეთვე, არ დგინდება გონივრული ეჭვის არსებობის ფაქტი მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ როგორც უშუალოდ, ისე არაპირდაპირ (ასოციაციის მეშვეობით) რაიმე სახის კონკურენციის შემზღვეველი გადაწყვეტილების/გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით. თავის მხრივ აღსანიშნავია, რომ საჩივრის დასაშვებობის ფარგლებში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით არ დგინდება გონივრული ეჭვის არსებობის ფაქტი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ელემენტის - მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებული ქმედების მიმართაც. შესაბამისად, ანალოგიურად, არ დგინდება გონივრული ეჭვის არსებობა კანონის მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით სს „საქართველოს ბანკთან“ და ღია სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფთან“ მიმართაც.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის მე-7 მუხლთან მიმართებით საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილი მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს, კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, რის გამოც, სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

## დასკვნა

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოს უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. სააგენტო აღნიშნული მიზნით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. აღსანიშნავია, ასევე, ის ფაქტი, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვისას სააგენტო შებოჭილია ამ საჩივრის შინაარსით. მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულება და მასვე ეკისრება საჩივრის დასაბუთების ვალდებულება. დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო მხედველობაში იღებს მომჩივნის და მოპასუხის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებს და მათი ყოველმხრივი ანალიზით ადგენს აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებთან მიმართებით მომჩივანმა ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა მტკიცების ტვირთი, რის გამოც საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს. კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, რის გამოც სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

### სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17<sup>1</sup> მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ პუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

### სააგენტომ დაადგინა:

1. დაუშვებლად იქნას ცნობილი შპს „თინეთის“ (ს/ნ 402116474) 2025 წლის 04 ივლისის N01/3980 საჩივარი.
2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება ეცნობოს მომჩივან და მოპასუხე მხარეებს ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.
4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.
5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

